საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

22/05/2024
N 09-02 16/244

244-09-02 16-2-202405221549

ს.ს.ი.პ ,,ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი"-ს სამხატვრო ხელმძღვანელს
ბატონ ნუკრი ქანთარიას

ბატონო ნუკრი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

1. წლების მიხედვით, 2023 წელს და 2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე რამდენი დისციპლინური წარმოება იქნა დაწყებული თეატრის ადმინისტრაციის მიერ;
2. 2024 წელს დისციპლინური წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ასლები;
3. 2024 წლის 23 აპრილს თეატრის მსახიობებმა გამოხატეს პოზიცია ,,რუსულ კანონთან" დაკავშირებით, რის შემდგომაც მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ მსახიობების მიმართ თეატრის ადმინისტრაციამ დაიწყო დისციპლინური წარმოება. გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი დოკუმენტების ასლები:

ა) დოკუმენტის(მოხსენებითი ბარათი, წერილი და სხვა) ასლი, რომლის საფუძველზეც დაიწყო წარმოება;

ბ) ნებისმიერი დოკუმენტის ასლი, რაც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ წარმოებასთან (ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი და სხვა დოკუმენტები) ;

გ) დისციპლინური წარმოების შედეგად რომელი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა იქნა გამოყენებული, შესაბამისი ადმინისტრაცილ-სამართლებრივი აქტის ასლი;

დ) საქართველოს შრომის კოდექსის, შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის კონკრეტული მუხლების/პუნქტების ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც მოხდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება, ასევე შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის და სხვა დოკუმენტების ასლები, რომელიც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, გარდა ნორმატიული აქტებისა;

4. სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიცია თეატრის მსახიობების მიერ გაკეთებულ განცხადებაზე;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"